ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროსა
და
ლატვიის რესპუბლიკის კეთილდღეობის სამინისტროს შორის

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო და ლატვიის რესპუბლიკის კეთილდღეობის სამინისტრო (შემდგომში „მხარეებად" წოდებულნი),

- ხელმძღვანელობენ რა განზრახვით, ჩამოაყალიბონ ორმხრივი მჭიდრო ურთიერთობები, განსაკუთრებით - დასაქმების, ჯანმრთელი და უსაფრთხო სამუშაო გარემოსა და შრომითი ურთიერთობების სფეროებში;

- ცდილობენ რა განავითარონ და გააძლიერონ კავშირები შესაბამის საჯარო და არასამთავრობო დაწესებულებებს შორის ლატვიის რესპუბლიკასა და საქართველოში;

- აღიარებენ რა, თანამშრომლობის მნიშვნელობას, ორივე ქვეყნის ეკონომიკისა და სოციალურ განვითარებაში წვლილის შეტანის მიზნით.

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში მხარები გამოხატავენ ინტერესს, მათი კომპეტენციის ფარგლებში ჩამოაყალიბონ და განავითარონ ორმხრივად სარგებლიანი თანამშრომლობა.

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში ინიცირებული თანამშრომლობის ძირითადი სფეროები იქნება:

(a) ჯანსაღ და უსაფრთხო სამუშაო გარემოსთან დაკავშირებული საკითხები;

(b) კანონმდებლობის განვითარება შრომითი ურთიერთობების სფეროში;
(c) აქტიური შრომის ბაზრის პოლიტიკის განვითარება;
(d) მხარეებს თანამშრომლობის სხვა სფეროები, რომლებიც წარმოადგენს ორმხრივი შეთანხმების საგანს.

მუხლი 2

პირველ მუხლში ჩამოყალიბებული თანამშრომლობის ფორმები შეიძლება მოიცავდეს:

(a) თანამშრომლობის ძირითადი სფეროების თაობაზე ინფორმაციისა და საუკეთესო პრაქტიკის გაცვლას;
(b) გამოცდილებისა და ექპსერტული შეფასებების გაცვლას, საერთო ინტერესის სფეროებში ჩართული ოფიციალური პირებისა და ექსპერტების სასწავლო ვიზიტების ჩათვლით;
(c) ერთობლივი სემინარების, სამუშაო შეხვედრებისა და კონფერენციების ორგანიზება წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრულ საკითხებთან დაკავშირებით;
(d) მხარეებს შორის ორმხრივად შეთანხმებული თანამშრომლობის სხვა სფეროები

მუხლი 3

წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული კონკრეტული პროექტების მოცულობა/მასშტაბები დამოკიდებული იქნება მხარეების ფინანსურ რესურსებზე.

მხარეებმა შესაძლოა, ასევე მოიწვიონ სხვა სამთავრობო უწყებები, სოციალური პარტნიორები, საჯარო დაწესებულებები ან კერძო ორგანიზაციები წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში მონაწილეობის მისაღებად.

მუხლი 4

ნებისმიერი დავა, რომელიც შეიძლება წარმოიშვას წინამდებარე მემორანდუმის განხორციელებასთან დაკავშირებით, გადაწყდება მხარეებს შორის კონსულტაციების გზით.

მუხლი 5

წინამდებარე მემორანდუმში მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე შეიძლება შეტანილ იქნას დამატებები და ცვლილებები.

მუხლი 6

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

წინამდებარე მემორანდუმში გათვალისწინებული დებულებები არ ქმნის რაიმე ვალდებულებას საერთაშორისო საჯარო სამართლის სფეროში.

მუხლი 7

ხელმოწერილია 2014 წლის 26 ნოემბერს ქ. თბილისში ორ დედნად, თითოეული ქართულ, ლატვიურ და ინგლისურ ენებზე. ყველა ტექსტი თანაბარი ძალის მქონეა. მხარეთა მიერ წინამდებარე შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

საქართველოს შრომის,
ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის სამინისტროს სახელით

ლატვიის რესპუბლიკის
კეთილდღეობის
სამინისტროს სახელით